

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

*შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
მიმოხილვითი შემოწმების ანგარიშთან ერთად
30 ივნისი, 2017 წ.*

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმების ანგარიში

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგება	1
შემოკლებული სრული შემოსავლის შუალედური ანგარიშგება	2
შემოკლებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შუალედური ანგარიშგება	3
შემოკლებული ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგება.....	4

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში.....	5
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	6
5. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7
6. კლიენტებზე გაცემული სესხები	7
7. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9
8. ძირითადი საშუალებები	10
9. არამატერიალური აქტივები.....	11
10. სხვა აქტივები და ვალდებულებები	11
11. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	12
12. ვალდებულებები კლიენტების წინაშე	13
13. გადასახადები	13
14. კაპიტალი	15
15. პირობითი ვალდებულებები.....	16
16. წმინდა საკომისიო შემოსავალი	17
17. თანამშრომლებზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	17
18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	18
19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	20
20. კაპიტალის ადეკვატურობა	22

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმების ანგარიში

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩავატარეთ შპს „პაშა ბანკი საქართველოს“ თანდართული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებული შემოკლებული შუალედური ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის შემოკლებული სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგებისგან და შერჩეული გამართებითი შენიშვნებისგან.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის - ბასს 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ (შემდგომში „ბასს 34“) მიხედვით. ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვითი შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიმოხილვითი შემოწმების მასშტაბი

შემოწმებას წარვმართავდით მიმოხილვითი შემოწმების ჩატარების 2410-ე საერთაშორისო სტანდარტის „საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვითი შემოწმება“ შესაბამისად.

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება ძირითადად გულისხმობს საფინანსო და საბუღალტრო საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვას და ანალიტიკური თუ სხვა მიმოხილვითი პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვითი შემოწმება თავისი მასშტაბით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე გაცილებით უფრო მცირეა და ამიტომ იგი არ გვამღვეს საშუალებას, მოვიპოვოთ იმის რწმუნება, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა ის არსებითი საკითხი, რომლებიც აუდიტის პროცესში ვლინდება ხოლმე. შესაბამისად, არ გამოვთქვამთ აუდიტორულ მოსაზრებას.

დასკვნა

მიმოხილვითი შემოწმების პროცესში არ აღმოგვიჩენია მიზეზები, რომლებიც თანდართული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ბასს 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად მომზადებაში ეჭვის შეტანის საფუძველს მოგვცემდა.

რუსლან ხოროშვილი
შპს „EY საქართველოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
22 აგვისტო, 2017 წ.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

შემოკლებული ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგება

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	<i>შენიშვნები</i>	<i>30 ივნისი, 2017 წ. (არააუდიტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	21,199	7,599
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5	42,808	83,261
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	116,982	95,090
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7	61,982	91,880
ძირითადი საშუალებები	8	966	1,108
არამატერიალური აქტივები	9	2,092	2,060
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	13	610	924
სხვა აქტივები	10	1,308	563
სულ აქტივები		247,947	282,485
ვალდებულებები			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	11	94,444	131,681
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	12	46,912	46,024
გარანტიებისა და აკრედიტივების ანარიცხები	15	85	85
სხვა ვალდებულებები	10	646	1,411
სულ ვალდებულებები		142,087	179,201
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	103,000	103,000
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული დანაკლისი)		2,860	354
სხვა რეზერვები		-	(70)
სულ კაპიტალი		105,860	103,284
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		247,947	282,485

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:

შაჰინ მამადოვი

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩინგიზ აბდულაევი

ფინანსური დირექტორი,
დირექტორთა საბჭოს წევრი

22 აგვისტო, 2017 წ.

5-24 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

შემოკლებული სრული შემოსავლის შუალედური ანგარიშგება

2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	<i>2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის, (არააუდი- ტირებული)</i>	<i>2016 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის, (არააუდი- ტირებული)</i>
	<i>შენიშვნა</i>	
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები	5,851	6,353
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,991	4,639
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,021	632
	9,863	11,624
საპროცენტო ხარჯი		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	(1,814)	(3,646)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	(440)	(351)
	(2,254)	(3,997)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	7,609	7,627
პროცენტიან აქტივებზე გაუფასურების ზარალის ანარიცხების შექმნა / (ანარიცხების შემობრუნება)	6, 7 (343)	24
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის შემდეგ	7,266	7,651
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა მოგება		
- გარიგებები	582	288
- საკურსო სხვაობები	272	8
წმინდა საკომისიო შემოსავალი	16 92	71
სხვა საოპერაციო შემოსავალი	44	67
არასაპროცენტო შემოსავალი	990	434
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	17 (2,394)	(2,656)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17 (2,115)	(1,923)
ცვეთა და ამორტიზაცია	8, 9 (924)	(957)
არასაპროცენტო ხარჯი	(5,433)	(5,536)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	2,823	2,549
მოგების გადასახადის ხარჯი	13 (317)	(311)
პერიოდის წმინდა მოგება	2,506	2,238
სხვა სრული შემოსავალი		
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება		
წმინდა არარეალიზებული მოგება საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	67	197
გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგების/ (ზარალის) მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	13 3	(7)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	2,576	2,428

5-24 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

შემოკლებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შუალედური ანგარიშგება

2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>გაუნაწი- ლებელი მოგება</i>	<i>სხვა რეზერვები</i>	<i>სულ კაპიტალი</i>
1 იანვარი, 2016 წ.	103,000	(4,527)	(292)	98,181
2016 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	-	2,238	190	2,428
2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)	103,000	(2,289)	(102)	100,609
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	103,000	354	(70)	103,284
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება (არააუდიტირებული)	-	2,506	-	2,506
2016 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის სხვა სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	-	-	70	70
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)	-	2,506	70	2,576
2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)	103,000	2,860	-	105,860

5-24 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

სს „პაშა ბანკი საქართველო“

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

შემოკლებული ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგება

2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	<i>2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არააუდიტი- რებული)</i>	<i>2016 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არააუდიტი- რებული)</i>
	<i>შენიშვნა</i>	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	10,453	13,044
გადახდილი პროცენტი	(2,431)	(4,183)
მიღებული საკომისიო	307	269
გადახდილი საკომისიო	(205)	(171)
უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან ზარალით შემცირებული რეალიზებული მოგება	582	288
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(3,044)	(2,804)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,872)	(1,998)
სხვა მიღებული შემოსავალი	44	67
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	2,834	4,512
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>		
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ კლიენტებზე გაცემული სესხები	35,662 (25,097)	(18,636) 6,022
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	(28,585)	(17,669)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	3,983	25,777
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(11,203)	6
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	(40,071)	(33,017)
შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან	66,967	59,628
ძირითადი საშუალებების შეძენა	(732)	(120)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(210)	(97)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	25,954	26,394
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(1,151)	1,606
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	13,600	28,006
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	4 7,599	22,282
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	4 21,199	50,288

5-24 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „პაშა ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“-ი) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო ლიცენზიით.

ბანკი იღებს ანაზღაურებას, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და სთავაზობს სხვა საბანკო მომსახურებას თავის კომერციულ კლიენტებს. 2017 წლის 30 ივნისისთვის ბანკს ერთი მომსახურების ფილიალი აქვს საქართველოში. ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 15.

2017 წლის 30 ივნისისა და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის ერთპიროვნული მფლობელი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მდებარე კომპანია ლსს „პაშა ბანკი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). ბანკის საბოლოო მფლობელები არიან ქ-ნი ლეილა ალიევა და ქ-ნი არზუ ალიევა, რომლებიც ბანკზე ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ.

წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მშობელი კომპანიის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბასს“) 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად.

ბანკს აღრიცხვის წარმოება და მარეგულირებელი ორგანოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მოეთხოვება. შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას და განმარტებით შენიშვნას, რაც წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის მოითხოვება, ამიტომ ის ბანკის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული. შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება იმ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ბანკმა გამოიყენა 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა 2017 წლის 1 იანვრისთვის მიღებული ახალი სტანდარტებისა. ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ამ ცვლილებების ხასიათი და გავლენა აღწერილია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და ცვლილებები 2017 წელს პირველად შედის ძალაში, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა ბანკის წლიურ ანგარიშგებაზე ან მის შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ახალი სტანდარტისა და ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: ინფორმაციის გახსნის ინიციატივა

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ბანკს არ ევალება დამატებითი ინფორმაციის გახსნა თავის შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ იგი დამატებით ინფორმაციას წარმოადგენს თავის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში 31 დეკემბრით დასრულებული 2017 წლისთვის.

ცვლილებები ბასს (IAS) 12-ში „მოგებიდან გადასახადები: გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ ზარალთან მიმართებით“

ცვლილებები განმარტავს, რომ საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ ზღუდავს საგადასახადო კანონმდებლობა დასაბეგრი მოგების წყაროებს, რომლებიდანაც მან შეიძლება მოახდინოს გაქვითვები ამ გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემობრუნებისას. ამასთან, ცვლილებები განმარტავს, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ მომავალში მისაღები დასაბეგრი მოგება და განსაზღვრავს გარემოებებს, რომლებშიც დასაბეგრი მოგება შეიძლება მოიცავდეს გარკვეული აქტივების ამოღებას საბალანსო ღირებულებაზე მეტი ღირებულებით.

საწარმოებმა ცვლილებები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენონ. თუმცა, ცვლილებების თავდაპირველი გამოყენებისას უადრესი შედარებადი პერიოდის საწყის საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები შეიძლება აღიარებული იქნეს საწყის გაუნაწილებელ მოგებაში (ან, საჭიროებისამებრ, საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში) ისე, რომ არ მოხდეს ცვლილების გადანაწილება საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტებს შორის. საწარმოები, რომლებიც ამ შედგავით სარგებლობენ, უნდა გააცხადონ ამ ფაქტის შესახებ.

ბანკმა ცვლილებები რეტროსპექტულად გამოიყენა. თუმცა, მათი გამოყენება არ ახდენს გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	30 ივნისი, 2017 წ. (არააუდი- ტირებული)	31 დეკემბერი, 2016 წ.
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	632	656
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	202	665
მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში	8,936	3,778
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	11,429	2,500
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,199	7,599

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში აშშ დოლარსა და ევროში გამოხატული მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზრები წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე და ვადიანი ანაზრების 13.31%-სა და 39.71%-ს, შესაბამისად (2016 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 14.31%, ევრო 31.62%).

მიმდინარე ანგარიშებისა და ვადიანი ანაზრების ნაშთი შედგება საკრედიტო დაწესებულებებში პროცენტთან საკორესპონდენტო ანგარიშის 19,667 ათასი ლარის ოდენობის ნაშთებისგან (2016 წლის 31 დეკემბერი: 2,947 ათასი ლარი), და უპროცენტო საკორესპონდენტო ანგარიშის ნაშთებისგან საკრედიტო დაწესებულებებში 698 ათასი ლარის ოდენობით (2016 წლის 31 დეკემბერი: 3,331 ათასი ლარი).

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	<i>30 ივნისი, 2017 წ.</i> <i>(არააუდი- ტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაბარი	26,683	52,576
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	16,125	30,685
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	42,808	83,261

ვადიანი ანაბრები მოიცავს რეზიდენტ და არარეზიდენტ კომერციულ ბანკებში აშშ დოლარსა და ლარში განთავსებულ ანაბრებს, რომელთა ვადაც 2017 წლის ივლისიდან 2018 წლის ივნისამდე მერყეობს, და საპროცენტო განაკვეთი ლარში გამოხატულ ანაბრებზე 7.0%-9.0%-ია, ხოლო აშშ დოლარში გამოხატულ ანაბრებზე 0.5%-4.5% (2016 წლის 31 დეკემბერი: რეზიდენტ და არარეზიდენტ კომერციულ ბანკებში აშშ დოლარსა და ლარში განთავსებული ანაბრები, რომელთა ვადაც მერყეობს 2017 წლის თებერვლიდან 2017 წლის დეკემბრამდე, საპროცენტო განაკვეთი 4.0%-5.5%-ია ლარში გამოხატულ ანაბრებზე, ხოლო 6.5%-7.2% - აშშ დოლარში გამოხატულ ანაბრებზე).

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო პროცენტთან დეპოზიტის გახსნა საკრედიტო დაწესებულების მიერ კლიენტებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 7%-ისა და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 20%-ის ოდენობით, 2016 წლის ივნისიდან (2016 წლის 31 დეკემბერი: 7% და 20%, შესაბამისად).

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<i>30 ივნისი, 2017 წ.</i> <i>(არააუდი- ტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
კერძო საწარმოები	82,267	66,767
უცხო სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	36,643	30,129
ფიზიკური პირები	603	314
კლიენტებზე გაცემული სესხები	119,513	97,210
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(2,531)	(2,120)
კლიენტებზე გაცემული სესხები	116,982	95,090

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების რეზერვის მოძრაობა ასეთია:

	<i>2017 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არააუდიტირებული)</i>		
	<i>იურიდიული პირები</i>	<i>ფიზიკური პირები</i>	<i>სულ</i>
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(2,049)	(71)	(2,120)
პერიოდის დანარიცხი (არააუდიტირებული)	(401)	(10)	(411)
2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)	(2,450)	(81)	(2,531)
კოლექტიური გაუფასურება (არააუდიტირებული)	(1,269)	(11)	(1,280)
ინდივიდუალური გაუფასურება (არააუდიტირებული)	(1,181)	(70)	(1,251)
ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	(8,402)	(70)	(8,472)

	<i>2016 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არააუდიტირებული)</i>		
	<i>იურიდიული პირები</i>	<i>ფიზიკური პირები</i>	<i>სულ</i>
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,253)	(58)	(1,311)
პერიოდის (შემობრუნება) / დანარიცხი (არააუდიტირებული)	30	(6)	24
2016 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)	(1,223)	(64)	(1,287)
კოლექტიური გაუფასურება (არააუდიტირებული)	(1,223)	(64)	(1,287)

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის მსესხებლების სამი უმსხვილესი ჯგუფისგან მისაღები თანხების საერთო ოდენობა 64,807 ათას ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 54.23% იყო (2016 წლის 31 დეკემბერი: 53,847 ათასი ლარი, ანუ მთლიანი სასესხო პორტფელის 55.39%). აღნიშნული სესხებისათვის 516 ათასი ლარის ოდენობის რეზერვი შეიქმნა (2016 წ.: 467 ათასი ლარი).

გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით ასეთია:

	<i>30 ივნისი, 2017 წ. (არააუდიტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
ვაჭრობა და მომსახურება	44,469	48,881
ენერჯეტიკა	41,325	14,929
არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები	12,164	20,664
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	9,834	-
მშენებლობა	8,738	8,778
სამთო მრეწველობა	2,380	3,644
ფიზიკური პირები	603	314
	119,513	97,210

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები. მიღებული უზრუნველყოფის საგნის ძირითადი ტიპები არის უძრავი ქონების იპოთეკა და მშობელი კომპანიისგან მიღებული თავდებობა. ბანკი ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებისგან მათი შვილობილ კომპანიებისთვის გაცემული სესხებისთვის.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

7. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ძირითადად მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სავალო ფასიან ქაღალდებს, ასევე საქართველოსა და აზერბაიჯანში დარეგისტრირებულ კომპანიებისა და კომერციული ბანკების სავალო ფასიან ქაღალდებს.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

	<i>30 ივნისი, 2017 წ.</i> <i>(არააუდი- ტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
ფინანსური ინსტიტუტების სადეპოზიტო სერტიფიკატები	24,379	26,543
ფინანსური ინსტიტუტების ობლიგაციები	21,445	21,541
კორპორაციული ობლიგაციები	8,946	12,969
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	7,345	31,028
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: სესხები და მისაღები ანგარიშები	62,115	92,081
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (ა)	(133)	(201)
სულ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: სესხები და მისაღები ანგარიშები	61,982	91,880

(ა) გაუფასურების რეზერვი უკავშირდება კომპანიის კოლექტიურად გაუფასურებულ ობლიგაციებს.

პერიოდის განმავლობაში რეზერვის მოძრაობა გამოხატულია 68 ათასი ლარის ოდენობის ანარიცხების შემობრუნებით.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

	<i>ავეჯი და მოწყობი- ლობები</i>	<i>კომპიუ- ტერული ტექნიკა და აღჭურ- ვილობა</i>	<i>სატრან- სპორტო საშუა- ლებები</i>	<i>სხვა აღჭურ- ვილობა</i>	<i>საიჯარო გაუმჯო- ბესებები</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2015 წ.	1,840	2,390	247	459	1,912	6,848
შემოსვლები						
(არააუდიტირებული)	1	31	66	22	-	120
30 ივნისი, 2016 წ.	1,841	2,421	313	481	1,912	6,968
(არააუდიტირებული)						
31 დეკემბერი, 2016 წ.	1,843	2,412	313	486	1,912	6,966
შემოსვლები						
(არააუდიტირებული)	6	588	-	4	-	598
30 ივნისი, 2017 წ.	1,849	3,000	313	490	1,912	7,564
(არააუდიტირებული)						
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2015 წ.	(1,173)	(1,447)	(108)	(232)	(1,199)	(4,159)
ცვეთის დანარიცხი						
(არააუდიტირებული)	(229)	(304)	(37)	(47)	(229)	(846)
30 ივნისი, 2016 წ.	(1,402)	(1,751)	(145)	(279)	(1,428)	(5,005)
(არააუდიტირებული)						
31 დეკემბერი, 2016 წ.	(1,634)	(2,052)	(185)	(327)	(1,660)	(5,858)
ცვეთის დანარიცხი						
(არააუდიტირებული)	(182)	(249)	(33)	(48)	(228)	(740)
30 ივნისი, 2017 წ.	(1,816)	(2,301)	(218)	(375)	(1,888)	(6,598)
(არააუდიტირებული)						
წმინდა საბალანსო ღირებულება						
30 ივნისი, 2016 წ.	439	670	168	202	484	1,963
(არააუდიტირებული)						
31 დეკემბერი, 2016 წ.	209	360	128	159	252	1,108
30 ივნისი, 2017 წ.	33	699	95	115	24	966
(არააუდიტირებული)						

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>ლიცენზიები</i>	<i>კომპიუტერული პროგრამები</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება			
31 დეკემბერი, 2015 წ.	488	1,829	2,317
შემოსვლები (არააუდიტირებული)	23	8	31
გასვლები (არააუდიტირებული)	(12)	(6)	(18)
30 ივნისი, 2016 წ. (არააუდიტირებული)	499	1,831	2,330
31 დეკემბერი, 2016 წ.	897	1,829	2,726
შემოსვლები (არააუდიტირებული)	217	-	217
ჩამოწერა (არააუდიტირებული)	(190)	(1)	(191)
30 ივნისი, 2017 წ. (არააუდიტირებული)	924	1,828	2,752
დაგროვილი ამორტიზაცია			
31 დეკემბერი, 2015 წ.	(108)	(185)	(293)
ამორტიზაციის დანარიცხი (არააუდიტირებული)	(46)	(65)	(111)
გასვლები (არააუდიტირებული)	12	5	17
30 ივნისი, 2016 წ. (არააუდიტირებული)	(142)	(245)	(387)
31 დეკემბერი, 2016 წ.	(308)	(358)	(666)
ამორტიზაციის დანარიცხი (არააუდიტირებული)	(95)	(89)	(184)
ჩამოწერა (არააუდიტირებული)	190	-	190
30 ივნისი, 2017 წ. (არააუდიტირებული)	(213)	(447)	(660)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
30 ივნისი, 2016 წ. (არააუდიტირებული)	357	1,586	1,943
31 დეკემბერი, 2016 წ.	589	1,471	2,060
30 ივნისი, 2017 წ. (არააუდიტირებული)	711	1,381	2,092

10. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	<i>30 ივნისი, 2017 წ. (არააუდიტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	825	365
საოპერაციო იჯარაზე გადახდილი ავანსები	214	170
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	188	4
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	59	16
სხვა	22	8
სხვა აქტივები	1,308	563

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	<i>30 ივნისი, 2017 წ. (არააუდი- ტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ფინანსური ვალდებულებები	86	223
	86	223
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	500	1,150
გადავადებული შემოსავალი	59	38
საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა	1	-
	560	1,188
სხვა ვალდებულებები	646	1,411

11. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს შემდეგს:

	<i>30 ივნისი, 2017 წ. (არააუდი- ტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
მშობელი კომპანიის ვადიანი ანაზრები	39,856	37,617
არარეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი ანაზრები	27,951	39,956
რეზიდენტი კომერციული ბანკების ვადიანი ანაზრები	17,002	14,478
მშობელი კომპანიისგან მიღებული ოვერდრაფტი	3,554	3,003
მშობელი კომპანიის მიმდინარე ანგარიშები	3,072	8,597
სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები	3,009	28,030
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	94,444	131,681

2017 წლის 30 დეკემბრისთვის რეზიდენტი კომერციული ბანკების მიერ განთავსებული ლარში, აშშ დოლარსა და ევროში გამოხატული და ერთი არარეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ განთავსებული აშშ დოლარსა და ევროში გამოხატული ანაზრების ვადა 2017 წლის ივლისში იწურება.

სებ-ისგან 2015 წლის 15 ივნისს აღებული და 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მიმდინარე სესხის დაფარვის ვადა 2017 წლის ივლისში ამოიწურა.

2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მშობელი კომპანიის მიერ განთავსებული ვადიანი ანაზრები აშშ დოლარშია გამოხატული (2016 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარში) და ვადა 2018 წლის განმავლობაში ეწურება.

ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების
შერჩეული განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 30 ივნისით დასრულებული წლისთვის

სს „პაშა ბანკი საქართველო“

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

ვალდებულებები კლიენტების წინაშე მოიცავს შემდეგს:

	<i>30 ივნისი, 2017 წ.</i> <i>(არააუდი- ტირებული)</i>	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>
ვადიანი ანაზრები	32,566	33,492
მიმდინარე ანგარიშები	14,346	12,532
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	46,912	46,024
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა (მე-15 შენიშვნა)	624	757

